პირველი დამარცხება

ლენინგრადი. 14 მაისი. ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში "ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და თბილისის დინამოელთა თანაკლუბელები.

პირველ ტაიმში უპირატესობა ძირითადად ლენინგრადელებს ჰქონდათ, რომელთა თავდამხმელმა ო. მოროზოვმა შეძლო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა. თბილისელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და მალე იამანიძემ გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

მე-40 წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ო. მოროზოვმა ბურთი ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, აქ უხეში შეცდომა დაუშვა კოტრიკაძემ, უდროოდ გამოვიდა წინ და კვლავ ო. მოროზოვმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი - 2:1.

თბილისელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, ხუნდაძე, ფიფია, ხელაძე, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

"ლელო", 15 მაისი 1962 წ.